ვინ არის დამნაშავე?

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 6 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (მოსკოვი) – 1:2 (1:1).

“დინამო” (თბილისი) – ს. კოტრიკაძე, ელოშვილი, ჩოხელი, ხოჭოლავა, ა. კოტრიკაძე, რამიშვილი, ხასაია, გაგნიძე, ღოღობერიძე (დავარაშვილი), იამანიძე, ჭკუასელი.

“დინამო” (მოსკოვი) – იაშინი, კესარევი, კრიჟევსკი, ბ. კუზნეცოვი, სოკოლოვი, ცარიოვი, შაბროვი, ფედოსოვი, ი. კუზნეცოვი, შაპოვალოვი, რიჟკინი.

მსაჯი: ნ. ბალაკინი (კიევი).

ძნელია შეედავო მსაჯს მინდორზე მომხდარ დარღვევების განსაზღვრასა და შეფასებაში – იგი ყველაზე ახლოს იმყოფება ბურთთან, ყველაზე უკეთ ხედავს თამაშის ყველა მომენტს, მაგრამ ხდება ისეც, რომ იგი ცდება, ან ორჭოფობს გადაწყვეტილების მიღებისას.

გუშინდელ მატჩს თბილისისა და მოსკოვის “დინამოს” თანაკლუბელთა შორის სჯიდა გამოცდილი კიეველი მსაჯი ნ. ბალაკინი (საკავშირო კატეგორია), რომლის მიმართ გუშინ მრავალი პრეტენზია გამოთქვა მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა. მათ სრული საფუძველი ჰქონდათ უკმაყოფილონი ყოფილიყვნენ ბალაკინის მსაჯობით.

თამაშის პირველ ნახევარში მოსკოველებმა რამდენჯერმე ითამაშეს უხეშად. ამ უხეშობას ხან მოსდევდა მსაჯის სასტვენი, ხანაც არა. ალბათ ამით გათამამებულმა ზოგიერთმა მოთამაშემ (კრიჟევსკი, ბ. კუზნეცოვი, ცარიოვი, კესარევი) გადაწყვიტა მეორე ტაიმში, როცა თბილისელები ხანგრძლივ, მეტად მწვავე და სახიფათო იერიშზე გადავიდნენ, ტაქტიკური და ტექნიკური ბრძოლის გარდა ერთგვარი ფიზიკური “დამხმარე საშუალებებიც” გამოეყენებინათ. მასპინძელთა კომბინაციებს ისინი ხშირად აფერხებდნენ დაჯახებით, ფეხში დარტყმით, სარმებით. თითქმის ყოველი კრიტიკული მომენტის შემდეგ მიწაზე იწვნენ ხასაია, გაგნიძე, იამანიძე, ჭკუასელი… თამაში კი გრძელდებოდა. ნამდვილი “ნადირობა” იყო გამართული ღოღობერიძეზე. თბილისელთა კაპიტანმა მიიღო ტრავმა და დატოვა თამაში. ამ “ტაქტიკური” მანევრის შემდეგ სტუმრებს გაცილებით გაუადვილდათ ბრძოლა მოწინააღმდეგესთან, რომელიც ისედაც შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდა მინდორზე.

ბალაკინს არ მიუღია გადამწყვეტი ზომები ამ უხეშობის აღმოსაფხვრელად.

მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:1 მოსკოვის “დინამოს” სასარგებლოდ, მაგრამ მის მსვლელობაში გატანილ იქნა კიდევ ერთი გოლი, რომელიც მსაჯმა არ ჩათვალა. აი, სწორედ ამ გოლის შესახებ გვინდა გამოვთქვათ ჩვენი აზრი.

თამაშის 21–ე წუთი. შეტევაზე არიან მოსკოველები. თბილისელთა კართან შეიქმნა მეტად სახიფათო მომენტი, რომლის დროსაც შაპოვალოვი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან მოწინააღმდეგის ფეხიდან მიიღო ბურთი და ახლო მანძილიდან გაიტანა გოლი. ბალაკინი წამით შეყოყმანდა, მაგრამ შემდეგ აჩვენა ცენტრისაკენ, თუმცა გვერდითი მსაჯი გ. აკობაშვილი მას გარკვევით ანიშნებდა, რომ შაპოვალოვი ბურთის მიღებამდე უკვე იმყოფებოდა თამაშგარე მდგომარეობაში.

49–ე წუთი. თბილისელებმა სწრაფად შეუტიეს მოწინააღმდეგეს და თამაში ზედ მის კართან გადაიტანეს. ღოღობერიძემ მისცა ბურთი გაგნიძეს (იგი ამ დღეს შესანიშნავად თამაშობდა), რომელმაც ძლიერი დარტყმით გაიტანა გოლი. მსაჯმა მისცა სასტვენი, მაგრამ ამ დროს მოჰკრა თვალი მეორე გვერდითი მსაჯის ტ. ბახრამოვის ნიშანს თამაშგარე მდგომარეობის შესახებ. ბალაკინი ამჯერად წამითაც არ შეყოყმანებულა და დანიშნა თავისუფალი დარტყმა კარიდან.

რა თქმა უნდა, მსაჯს სრული უფლება აქვს დაეთანხმოს თავის თანაშემწეს ან არ დაეთანხმოს, მაგრამ ჩვენის აზრით ბალაკინმა როგორც 21–ე, ისე 49–ე წუთზე არასწორი გადაწყვეტილება მიიღო და ეს უაღრესად პრინციპული მატჩი არასწორად განსაჯა.

პირველი კურიოზული გოლის მიუხედავად თბილისელებს ხელიდან არ გაუშვიათ ინიციატივა და იამანიძემ ძლიერი დარტყმით გაქვითა იგი. მეორე ტაიმში გადამწყვეტი ბურთი თბილისელთა კარში გატანილ იქნა საკუთარი მცველის ხოჭოლავას მიერ, რომელმაც მოულოდნელად შეუცვალა ბურთს მიმართულება მაშინ, როცა ს. კოტრიკაძე ხელებში ელოდა მას. საერთოდ, ს. კოტრიკაძემ დარწმუნებულად, ძლიერად ჩაატარა მატჩი.

ამრიგად, თბილისის “დინამოს” 2 ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილში 0 უწერია. თქმა არ უნდა – სტარტი უვარგისია, მაგრამ ვინ არის დამნაშავე ამაში, რომ გუნდი ამჟამად ბოლო ადგილზეა? მოსკოვის “სპარტაკთან” თბილისელებმა ვერ გამოიყენეს თავისი აშკარა უპირატესობა, ხოლო დინამოელებთან ადგილი ჰქონდა ზემოთ აღწერილ მეტად დასანან უსიამოვნებებს.

ამ წერილით ჩვენ სრულიადაც არ გვაქვს განზრახული გამოვესარჩლოთ გუნდს. ერთი ცხადია, თბილისელებს რომ შეეძლოთ თავიანთ დიდ შესაძლებლობათა მცირე პროცენტით გამოყენება, მაშინ მათი ქულები არ იქნებოდა დამოკიდებული მსაჯის შეხედულებებზე.

ამ დღეს დინამოელებმა მეორე დამარცხებაც ჩაიწერეს. დუბლიორებმა სუსტად ითამაშეს მოსკოველთა წინააღმდეგ და სავსებით დამსახურებულად წააგეს შეხვედრა ანგარიშით 0:4.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 7 აპრილი 1957 წ.